გენდერის კვლევის მნიშვნელობა ანტიგენდერული დისკურსის კვალდაკვალ საქართველოში

კვლევის ავტორები: ანი გოგბერაშვილი

გიგა კარაპეტიანი

კვლევის ჩატარება შესაძლებელი გახდა პროექტის ,,გენდერის კვლევის მნიშვნელობა ანტი-გენდერული დისკურსის გააქტიურების კვალდაკვალ საქართველოში' ფარგლებში, რომელიც ,,ქალთა ფონდი საქართველოში'' მხარდაჭერით განხორციელდა.

ქალთა ფონდი საქართველოში
WOMEN'S FUND IN GEORGIA

თბილისი

2023

სარჩევი

შესავალი **3**

კვლევის ძირითადი ფოკუსი და სამუშაო მეთოდოლოგია **6**

კვლევის ძირითადი მიგნებები **8**

- **გენდერის კვლევის აკადემიური მნიშვნელობა და მისი ინტერდისციპლინურობა** **8**
- **ფემინისტური კვლევა** **15**
- **გენდერის კვლევა და ანტი-გენდერული დისკურსი/მოძრაობა** **16**
- **გენდერის კვლევა და აქტივისტური პრაქტიკა** **19**
- **კვლევა და არასამთავრობო სექტორი** **20**

დასკვნა **22**

გამოყენებული ლიტერატურა **25**

შესავალი

ანტიგენდერული მოძრაობები ტრანსნაციონალური ფენომენია, რომელიც ლოკალური თავისებურებების მიუხედავად, ძირითადად, ერთ მიზანს - ე.წ. გენდერული იდეოლოგიის წინააღმდეგ ბრძოლას ემსახურება. ტერმინი გენდერული იდეოლოგია მიემართება ქალთა და ლგბტქ უფლებების აქტივიზმს, ასევე ცოდნას, რომელიც გენდერისა და სექსუალობის შესახებ ესენციალისტური შეხედულებების დეკონსტრუქციისკენაა მიმართული. სოციოლოგი რომან კუჰარის სიტყვებით, ანტიგენდერული იდეოლოგია არ ითვალისწინებს აქტივიზმისა და აკადემიის კომპლექსურ ურთიერთობას და აზრთა სხვადასხვაობას გენდერისა და სექსუალობის კვლევების შესახებ, ის ხედავს გენდერს, როგორც იდეოლოგიურ მატრიცას ეთიკური და სოციალური რეფორმებისთვის, როგორიცაა სექსუალური და რეპროდუქციული უფლებები, არაჰეტერონორმატიული ოჯახები, ახალი რეპროდუქციული ტექნოლოგიები, სექსუალური განათლება, გენდერული მეინსტრიმინგი, გენდერული ნიშნით ძალადობისგან დაცვა და ა.შ. (Kuhar & Paternotte, 2017). გენდერულმა იდეოლოგიამ განსაკუთრებული პოპულარობა მოიპოვა ულტრამემარჯვენე ჯგუფების წყალობით, რომლებმაც ეს ტერმინი საკუთარი ნარატივების განუყოფელ ნაწილად აქციეს მსოფლიოს მასშტაბით (Wittenius, 2022). მათი მხრიდან გენდერული იდეოლოგია წარმოჩენილია უდიდეს საშიშროებად კაცობრიობისთვის, უფრო მეტად - დასავლური სამყაროსთვის, რადგან ეჭვქვეშ აყენებს არსებულ გენდერულ წესრიგს და ოჯახის ინსტიტუტს. აღსანიშნავია, რომ დასავლური გამოცდილება და ამ გამოცდილების აღწერისთვის შექმნილი ტერმინები ქართული რეალობას ყოველთვის არ შეესაბამება. მოცემულ კვლევაში ამ საკითხებსაც ვეხებით.

ბუნებრივია, რომ გენდერის კვლევების დისციპლინა ანტიგენდერული მოძრაობების სამიზნეა, რადგან ის კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს აქამდე არსებულ ცოდნას ძალაუფლებრივ ურთიერთობებთან, უთანასწორობებთან, ბინარულ გენდერულ კატეგორიებთან დაკავშირებით. ასევე, აანალიზებს ისტორიულ და დღევანდელ

გადაკვეთებს კაპიტალიზმს, კოლონიალიზმს, რასიზმს და ჰეტერონორმატიულობას შორის, რაც ქმნის გენდერულ ურთიერთობებს (Dahl, 2020). 2020 წელს გამოქვეყნებულ კვლევაში, რომელიც ანტი-გენდერული მოძრაობების ტაქტიკებსა და მის აკადემიურ თავისუფლებასთან კვეთას აანალიზებს, ავტორი აღნიშნავს, რომ უმაღლესი განათლება და კვლევის პროცესი ჩაგვრასთან წინააღმდეგ ბრძოლის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია; ავტორი განიხილავს პაულო ფრეირეს ჩაგრულთა პედაგოგიკას, რომლის ერთ-ერთი ცენტრალური იდეაა, რომ სტუდენტებს, რომლებიც უმაღლესი განათლების მიღების პროცესში არიან ჩართულები, კრიტიკული ანალიზით შეუძლიათ მათ გარშემო არსებული უთანასწორო სტრუქტურების მხილება. ამ ლოგიკით, უმაღლესი განათლება და კვლევა სტატუს-ქუოდ მიჩნეული უთანასწორო გარემოს კრიტიკულად დანახვის წყაროა. სწორედ იმიტომ, რომ გენდერის კვლევა, ფემინისტური და ქვიარ თეორია და სექსუალობის კვლევები, არსებული უთანასწორობების გახილვადებას უწყობს ხელს, ბუნებრივია, ეს სამეცნიერო დარგები ანტიგენდერული მოძრაობების ერთ-ერთ წამყვან სამიზნედ იქცა. ამის გამო, გენდერის კვლევით ინსტიტუტებს თავს ხშირად ნეოკონსერვატორი პოპულისტური ჯგუფები ესხმიან. ამის საილუსტრაციოდ, შესაძლებელია უნგრეთის მაგალითის მოყვანა, სადაც გენდერის კვლევების აკადემიური დისციპლინა ხელისუფლებამ ეროვნული სააკრედიტაციო სისტემიდან და დაფინანსების სიიდან ამოიღო და ამ ფორმით მისი სწავლება დაბლოკა. აკადემიური თავისუფლების შეზღუდვის პრაქტიკები, დღესაც აქტიურად გრძელდება მსოფლიოს სხვადასხვა, მათ შორის, ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა რუსეთი, იტალია, ესპანეთი, სომხეთი, პერუ, პოლონეთი, ბრაზილია და სხვ. (McEwen, 2020, გვ. 6-9).

საგულისხმოა ისიც, რომ ხშირად, ანტიგენდერული მოძრაობის წარმომადგენლები საკუთარ თავს წარმოაჩენენ, როგორც ოჯახის ინსტიტუტის და ბავშვების დამცველებად, რითიც ცდილობენ ფართო საზოგადოებისგან მხარდაჭერის მოპოვებას. ანტიგენდერული მოძრაობის წარმომადგენლები მემარჯვენე ჯგუფებთან და პოპულისტ პარტიებთან ერთად შეიძლება იყვნენ რელიგიური ჯგუფები, კონსერვატორები, ნეოლიბერალური წრეები და მთავრობების წარმომადგენლები, რომლებიც ერთად ემსახურებიან რასისტული, ჰომოფობიური, ტრანსფობიური, ეთნონაციონალისტური იდეების

ფართოდ გავრცელებას. სარა აჰმედის (2004) სიტყვებით, “შიშის ენა გულისხმობს “საფრთხეების” გადაჭარბებულად წარმოჩენას, რაც ქმნის კედელს მათ შორის, ვინც “საფრთხის” ქვეშ იმყოფება და ვინც თავად არის “საფრთხის” შემცველი.

გლობალური კონტექსტის გაანალიზებამ, წარმოდგენილი კვლევის აქტუალობა განსაზღვრა; ვინაიდან, მიუხედავად იმისა, რომ არსებობს მრავალი კვლევითი დოკუმენტი, რომელიც ქალთა და ქვიარ ჯგუფების გამოწვევებს განსხვავებული პერსპექტივითა და კვლევითი მიდგომებით შეისწავლის, არ არსებობს ცოდნა იმასთან დაკავშირებით, თუ როგორია თავად გენდერის კვლევა და რა მნიშვნელობა ენიჭება მას ადგილობრივი და გეოპოლიტიკური კონტექსტისთვის. ეს საკითხი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინებით, რომ კავკასიის მასშტაბით პირველი გენდერის კვლევის სამაგისტრო პროგრამა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შეიქმნა. სწორედ ეს არის კონტექსტი, რამაც წინამდებარე კვლევის საჭიროება გამოკვეთა. ქვემოთ წარმოდგენილ სექციებში, განხილულ იქნება კვლევის ძირითადი ფოკუსი, სამუშაო მეთოდოლოგია და კვლევითი კითხვების მიხედვით, თემატურად დაჯგუფებული მიგნებები.

საკვანძო სიტყვები: გენდერის კვლევა, ფემინისტური კვლევა, ინტერდისციპლინურობა, გენდერის კვლევა და არასამთავრობო სექტორი, გენდერის კვლევა და აქტივიზმი, ანტიგენდერული დისკურსი, ანტიგენდერული მოძრაობა.

კვლევის ძირითადი ფოკუსი და სამუშაო მეთოდოლოგია

წარმოდგენილი კვლევის ჩასატარებლად, გამოყენებულ იქნა კვლევის თვისებრივი მეთოდოლოგია. თავის მხრივ, თვისებრივმა მეთოდოლოგიამ, მოგვცა შესაძლებლობა, მიზანთან დაკავშირებული საკითხები ჰოლისტურად შეგვესწავლა და ცენტრში მოგვექცია თავად რესპონდენტების ექსპერტული გამოცდილებები და დაკვირვებები. კონკრეტულ მეთოდს, რომლის გამოყენებითაც მონაცემების შეგროვება მოხდა, ინდივიდუალურად ჩაღრმავებული ინტერვიუები წარმოადგენდა. ინტერვიუირების პროცესის დაგეგმვამდე, წინასწარ შემუშავდა ინტერვიუს ნახევრად-სტრუქტურირებული გზამკვლევი, სადაც გავწერეთ ის შესაძლო საკითხები, რომელიც მიზანთან თანხვედრაში მოდიოდა. აღვნიშნავთ, რომ გზამკვლევით მუშაობამ კვლევას მეტი მოქნილობის შესაძლებლობა მისცა; ვინაიდან, ინტერვიუირების პროცესში, ვცდილობდით, წამყვანი რესპონდენტების გამოცდილებები ყოფილიყო და არა იმ საკითხების შესწავლის სიზუსტის დაცვა, როგორც ეს გზამკვლევში გვქონდა გაწერილი. ამასთან ერთად, ინტერვიუირების პროცესმა დამატებით ისეთი საკითხებიც გამოკვეთა, რომელიც გზამკვლევის შემუშავების ფაზის დროს, ჩვენი მხრიდან, წინასწარ განსაზღვრული არ ყოფილა. ამის გამო, მივიჩნევთ, რომ შერჩეული მეთოდით და გზამკვლევით მუშაობამ, კვლევის პროცესი და მიზანთან დაკავშირებული საკითხები, მეტად მრავალფეროვანი ფოკუსით შეისწავლა.

კვლევის მიზანი, მისმა შინაარსობრივმა აქტუალობამ განსაზღვრა. ადგილობრივად, ფრაგმენტულად მოიპოვება ფაქტებსა და გამოცდილებებზე დაფუძნებული ცოდნები გენდერის კვლევის მნიშვნელოვნების შესახებ. ამის გათვალისწინებით, კვლევის მიზანს, გენდერის კვლევის აკადემიური და პოლიტიკური მნიშვნელობის შესახებ, კრიტიკული ცოდნის შექმნა და მისი ლოკალური მნიშვნელოვნების წარმოჩენა წარმოადგენდა. აღნიშნული მიზნის შესწავლისთვის, დასახულ იქნა შემდეგი სამუშაო კვლევითი კითხვები:

1. როგორ განისაზღვრება გენდერის კვლევის მნიშვნელობა და მისი ინტერდისციპლინურობის საკითხი;
2. როგორია გენდერის კვლევის სამუშაო მეთოდიკა - ფემინისტური კვლევა, და როგორი ფაქტორები განასხვავებს მას კვლევის ტრადიციული, პოზიტივისტური პარადიგმისგან;
3. როგორი მნიშვნელობა ენიჭება გენდერის კვლევას, როგორც ცოდნის ნაკრებს ადგილობრივ დონეზე, ანტი-გენდერული დისკურსის არსებობის ფონზე;
4. როგორი მნიშვნელოვნება აქვს გენდერის კვლევას, აქტივისტურ პრაქტიკებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებში.

სამუშაო საკვლევი კითხვები, ინტერვიურების ფაზის დროს, რესპონდენტების ექსპერტული გამოცდილებების მიხედვით ჩაიშალა და შესაბამისად შეივსო. თავად რესპონდენტების შერჩევა, არაალბათური გზით, კონკრეტულად - მიზნობრივი შერჩევის გზით მოხდა; კვლევაში მონაწილეობა მიიღეს ისეთმა ექსპერტებმა, რომლებსაც გენდერის კვლევის შესახებ მრავალწლიანი ფორმალური მუშაობის გამოცდილებები და ცოდნა ჰქონდათ. სულ ათი სიღრმისეული ინტერვიუ ჩატარდა. ინტერვიუების საშუალო ხანგრძლივობამ საათი და 50 წუთი შეადგინა. საველე სამუშაოები 2022 წლის სექტემბერიდან-დეკემბრამდე მიმდინარეობდა.

საველე სამუშაოების დასრულების შემდეგ, ინტერვიუების აუდიო ჩანაწერების ტრანსკრიპტირება მოხდა. ტრანსკრიპტირების შემდეგ, მონაცემების კოდირებამ, მიგნებების თემატური კატეგორიზება ეფექტიანი გახადა. კვლევის შედეგად შეგროვებული აღწერითი მიგნებების გაერთიანება, შემდეგ სექციებში მოხერხდა:

(1) გენდერის კვლევის აკადემიური მნიშვნელობა და მისი ინტერდისციპლინურობა, (2) ფემინისტური კვლევა, (3) გენდერის კვლევა და ანტი-გენდერული დისკურსი/მოძრაობა, (4) გენდერის კვლევა და აქტივისტური პრაქტიკა და (5) კვლევა და არასამთავრობო სექტორი.

კვლევის ძირითადი მიგნებები

გენდერის კვლევის აკადემიური მნიშვნელობა და მისი ინტერდისციპლინურობა

გენდერის კვლევა აკადემიური დისციპლინაა და მას საკუთარი ეპისტემოლოგია და ბიბლიოგრაფია აქვს. ეს არის ის, რაც აძლევს მას შესაძლებლობას, საკუთარი კრიტიკული მზერით დამკვიდრდეს აკადემიაში. გენდერის კვლევის, როგორც დისციპლინის არსებობა მნიშვნელოვანია აბსოლუტურად ყველა ქვეყანასა თუ კულტურაში, ვინაიდან დღევანდელი კონტექსტები ყველგან პატრიარქალურია. Gender Studies-ის არის ის სამეცნიერო დისციპლინა, რომელიც ადგილობრივად ითარგმნა, როგორც გენდერის კვლევა; ამიტომ, აღსანიშნია, რომ გენდერის კვლევა მხოლოდ კვლევაზე დაფუძნებული ნაშრომის შესწავლას და სწავლების ჩარჩოს არ გულისხმობს, არამედ - ის შეიძლება იყოს წმინდად თეორიული ტექსტები აზროვნების ტრანსფორმაციისთვის. მისი ცოდნა იწვევს შეხედულებების ცვლილებას და მოვლენების აღქმისთვის მეტად ფართო ლინზას სთავაზობს მას, ვინც ამ საკითხებს სწავლობს. გენდერის კვლევის დღის წესრიგის ერთ-ერთი მთავარი პრობლემა ის არის, რომ ამ დისციპლინას არ აქვს ინსტიტუციური მხარდაჭერა. საქართველოში, გენდერის კვლევასთან დაკავშირებით, თუ ვინმეს სურს აკადემიური და არა გამოყენებითი ნაშრომის შექმნა, შესაძლებლობები ძალიან მწირია. რესურსების მობილიზებაში, რაც შრომატევადი მუშაობისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, გამოკვეთილად ,,ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის თბილისის ბიურო'' და ,,ქალთა ფონდი საქართველოში'' ინტერესდებიან. სხვა საერთაშორისო თუ ადგილობრივი ორგანიზაციები, ძირითადად, გამოყენებითი კვლევების მიმართ იჩენენ ინტერესს; მათ შორის ისინიც, ვისაც უახლესი წლების წინ გენდერის კვლევის განვითარებაში დიდი წვლილი აქვთ შეტანილი.

გენდერის კვლევის მიმართ დამოკიდებულებებზე აღსანიშნავია ორი ძირითადი საკითხი; პირველი, რომელიც საზოგადოებრივია და მეორე, უფრო ვიწრო, აკადემიური. ორივე შრეზე შესამჩნევია ის, რომ გენდერის კვლევა მიიჩნევა, როგორც თითიდან გამოწოვილ დისციპლინად და ის არ აღიქმება სერიოზულ სამეცნიერო დარგად.

საზოგადოებრივი და აკადემიური ცნობიერება ამ მიმართულებით მნიშვნელოვნად პრობლემურია. თუმცა, თავად აკადემიის მხრიდან ასეთი დამოკიდებულება განსაკუთრებულად გასაკიცხი და დამაფიქრებელია. ძირითადად, ცალკეული სამეცნიერო დისციპლინის წარმომადგენლების ამგვარ დამოკიდებულებებს გენდერის კვლევის მიმართ, იწვევს ის, რომ მიაჩნიათ თითქოს თავად უკეთესი, მეტად ვალიდური სამეცნიერო დარგების აკადემიკოსები არიან. მაგალითად, ისტორიკოსები, ბიოლოგები და ა.შ. ეს პრობლემაა იმდენად, რამდენადაც გენდერის კვლევა თავად არის ინტერდისციპლინური. ის იძლევა ცოდნას, რომელიც ადამიანში ავითარებს ლინზას, რაც მოვლენების ინტერპრეტაციის ფართო შესაძლებლობებს იძლევა. ამიტომაც არის მნიშვნელოვანი გენდერის კვლევის, როგორც აკადემიური დისციპლინის ინტეგრირება და მისი თანმდევი კრიტიკის შეტანა სხვა სამეცნიერო დარგებში.

გენდერის კვლევები ყველგან იყო და რჩება, როგორც მნიშვნელოვანი ცოდნის ნაკრები. მან გახადა ხილვადი ქალთა სხვადასხვა ჯგუფები და მათი საჭიროებები და, ზოგადად, არამხოლოდ ქალები, არამედ, მან განავითარა სექსუალური თუ სხვადასხვა ინტერსექციური განზომილებებიც და ამ ფორმით გააფართოვა მრავალი დისციპლინის თვალსაწიერი. ინტერდისცპლინურობის ხიბლი თუ იყო ის, რომ მიგეღო ცოდნა, რომელიც შეავსებდა სხვადასხვა დისციპილინაში გამოტოვებულ საკვანძო შრეებს, ის ტრანსფორმირდა ერთგვარ პრობლემად, რადგან გენდერის მკვლევრები ძალიან იშვიათად აღწევენ და ეწერებიან საკუთარი ფართო ცოდნებით და კვლევითი რესურსებით ცალკეულ სამეცნიერო დარგებში. ნაცვლად ინტერდისციპლინურობისა, გენდერის კვლევა ჩამოყალიბდა ცალკეულ სამეცნიერო დარგად და მივიღეთ არა ფემინისტი-ისტორიკოსები ან, მაგალითად, ფემინისტი-ლიტერატურათმცოდნეები, არამედ ცალკეული დისციპლინების ჩაკეტილობამ გენდერის მკვლევრები *სხვა* პროფესიის წარმომადგენლებად მონიშნა. ეს არის იმ შესაძლებლობების ერთგვარი წართმევა, რომელიც გენდერის მკვლევრებს ჰქონდათ და რაც მათ შრომას თავის დამკვიდრებაში დაეხმარებოდა. სოციოლოგია, მეთოდოლოგიური მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, მეტად ღია აღმოჩნდა იმისთვის, რომ გენდერის კვლევისგან არ დაცლილიყო და მის შიგნით მოეხდინა ფემინისტური ხედვებისა და

მუშაობის ჩარჩოს ინტეგრირება. თუმცა, აქაც არის შესამჩნევი პრობლემური გარემოება - თუ ფემინისტურად მგრძნობიარე, გენდერის კვლევების მცოდნე სოციოლოგი ხარ, ვერ ჩაეწერები სოციოლოგებში და ნაცვლად ამისა, კვლავ გენდერის მკვლევრად დარჩები. ინტერდისციპლინურობის ასეთი თარგმნა პრობლემურია იმდენად, რამდენადაც ის ახალ, ერთგვარ იდენტობას აწარმოებს და არ გაძლევს იმის შესაძლებლობას, რომ ამ ცოდნით ჩაეწერო ცალკეულ დისციპლინაში. ის, რომ, მაგალითად, ისტორიაში ვერ შეაღწია გენდერის კვლევებმა, არის ერთ-ერთი მიზეზი იმის, რომ ისტორია კვლავ რჩება პოზიტივისტურ, მკაცრ დარგად, რომელიც დაცლილილია ფაქტების ინტერპრეტაციისგან, მოვლენების სიღრმისეული ანალიზისგან. თუ ხილვადია ის, რომ გენდერის კვლევების მცოდნე ადამიანი ვერ აღწევს სოციოლოგების, ისტორიკოსების ან, თუნდაც, ლიტერატურათმცოდნე ადამიანების სიაში, მეორე განზომილებაა ის, რომ თავად გენდერის მკვლევარების პოზიციებიც ტექნოკრატიზებულად ითარგმნა; ხშირად, ასეთ პირდაპირ გენდერის მკვლევრებთან დაკავშირებულ სამუშაო ადგილებშიც აღარ ხდება გენდერის მკვლევრების დასაქმება და უფრო ვიწრო სპეციალიზაციის ადამიანებს ასაქმებენ. მაგალითად, ლიტერატურათმცოდნის ან სოციოლოგის პოზიციაზე თუ უნივერსიტეტში გამოცხადებულია ვაკანსია, გენდერის მკვლევარს რომელიც იკვლევს ლიტერატურას ან აქვს ძალიან ცხადი სოციოლოგიური ბექგრაუნდი, ექნება ამ პოზიციებზე დასაქმების ნაკლები შანსი; მაგრამ, პირიქით, ლიტერატურათმცოდნეს ან სოციოლოგს აქვს შანსი დასაქმდეს გენდერის მკვლევრის პოზიციაზე. ამ უსამართლობაში, თავად პროგრამის ხელმძღვანელის პასუხისმგებლობაც გასათვალისწინებელია; უნდა ხდებოდეს ასეთი გარემოებების მხედველობაში მიღება და ისეთი პრიორიტეტების დასახვა, რომელიც ამ პროცესის სისწორეს, სამართლიანობას განაპირობებს.

დამატებით ყურადღებას იმსახურებს გენდერის კვლევის მნიშვნელობა ადგილობრივი, გენდერულად მგრძნობიარე პოლიტიკის შემუშავების პროცესში. დღეს არსებული ტენდენცია აჩვენებს, რომ თავად გენდერის კვლევის, როგორც აკადემიური და სამეცნიერო დისციპლინის მიმართ დამოკიდებულებები პოლიტიკის კეთების დროს გამარტივებულია და ტექნოკრატიზებულიც. დღევანდელი პოლიტიკური კონტექსტი

აჩვენებს, რომ გენდერის საკითხებზე მუშაობენ ადამიანები, რომლებსაც ხშირად არანაირი ცოდნა გენდერის კვლევის შესახებ არა აქვთ; არ აქვთ კრიტიკული მზერა იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა ინტეგრირდეს ადგილობრივ დონეზე არსებული საჭიროებები გლობალურ დღის წესრიგთან და, მეორეს მხრივ, როგორი მუშაობის სტრატეგიებია საჭირო იმისთვის, რომ საერთაშორისო აჯენდაზე მომუშავე ორგანიზაციებთან თანამშრომლობის პროცესში ლოკალური საჭიროებების ხილვადობა შენარჩუნდეს. აქ ერთგვარი დათქმაა იმასთან დაკავშირებით, რომ თითქოს გენდერის კვლევის, როგორც სამუშაო მეთოდიკის დასწავლა ძალიან მარტივად არის შესაძლებელი - რამდენიმე ტრეინინგის გავლით. ეს გარემობა დამატებით უსვამს ხაზს, რომ გრძელვადიან შედეგებზე ორიენტირების ნაცვლად, დღეს ვხედავთ ვიწრო ტექნოკრატიზებულ ინტერესებს, რომელიც აჩენს ილოზორულ შთაბეჭდილებას, რომ გენდერულად მგრძნობიარე პოლიტიკის კეთება პოლიტიკური კლასისთვის არის პრიორიტეტული.

გენდერის კვლევაზე მსჯელობის დროს, მნიშვნელოვანია იმ რესურსების სიმწირის აღნიშვნა, რომელიც დღევანდელ რეალობაში გამოყენებით კვლევებს მეტად პოპულარულს ხდის, ვიდრე აკადემიურს. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველო ღარიბი ქვეყანაა, კვლევისთვის საჭირო რესურსები შეზღუდულია. ძირითადი რესურსი გამოყენებითი კვლევების მიმართულებით იხარჯება და სამეცნიერო კვლევებს, ინსტიტუციური მხარდაჭერა არ გააჩნია. ცხადია, გამოყენებით კვლევებს საკუთარი პოლიტიკური ფუნქციები აქვს, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყველას სურს გამოყენებითი კვლევების ჩატარება; ხაზგასასმელია გარემოება, სადაც აკადემიკოსს არჩევანის საშუალება არა აქვს და უწევს საკუთარი ინტერესების გალიაში გამომწყვდევა; უწევს დათანხმდეს ისეთი კვლევების წარმოებას, რომელსაც არა მისი პირადი პოლიტიკური თუ აკადემიური ინტერესები, არამედ სხვადასხვა ორგანიზაციული დღის წესრიგი განსაზღვრავს. მუშაობის ასეთ ფორმატზე მიდევნებას მარტივი ახსნა აქვს - ყველას სჭირდება შემოსავალი საკუთარი თავის და ოჯახების სარჩენად. კონტრასტულია, მდიდარი ქვეყნების კონტექსტი, სადაც საუნივერსიტეტო საქმიანობა ნიშნავს კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერასაც. საქართველოში არ ხდება არა მხოლოდ კვლევითი

საქმიანობის მხარდაჭერა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ, არამედ თავად სწავლების პროცესში ჩართული ადამიანების ანაზღაურებაა იმდენად მწირი, რომ მათ დამატებითი შრომითი ვალდებულებების აღება უწევთ თავის რჩენისთვის. ამის გამო, ჩვენთან კვლევა ფუფუნების საგნად იქცა, ნაცვლად იმისა, რომ ის ყოფილიყო საზოგადოებრივად თუ პერსონალურად განმავითარებელი მიზნის მქონე ინსტრუმენტი.

საგულისხმოა, რომ გენდერის კვლევასთან დაკავშირებული ცალკეული კურსების მიმართ ინტერესი იზრდება, როგორც კერძო ისე, სახელმწიფო უნივერსიტეტების მხრიდან. ერთგვარი პარადოქსია, რომ თავად კვლევისთვის მხარდამჭერ პირობებს არ ქმნიან უნივერსიტეტები, თუმცა, მეორეს მხრივ, მოთხოვნა აქვთ იმასთან დაკავშირებით, რომ მათთან გენდერის კვლევის ცალკეული მიმართულებები სწავლების პროგრამებში ინტეგრირდეს. მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც, რომ თავად სწავლების პროცესში ჩართული სტუდენტების რაოდენობაც და მათი ინეტერსიც გენდერის კვლევის მიმართ იზრდება. გენდერის კვლევის სწავლებაში ჩართული ლექტორების შეფასებით, სტუდენტებისგან ხშირია უკუკავშირი იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ ცვლის პროფესიულ აღქმას და პირად განწყობებს ფემინისტური ხედვა. სტუდენტების ინტერესის ამგვარ ზრდასა და აზროვნების ტრანსფორმაციაში თავად ლექტორების დამსახურება ძალიან დიდია, რადგან ისინი მწირი მხარდაჭერის პირობებში არ წყვეტენ საკუთარ სამეცნიერო საქმიანობას.

გენდერის კვლევის, როგორც სამეცნიერო დისციპლინის სწავლების განხილვის დროს, უნდა აღინიშნოს, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გენდერის კვლევის ინტერდისციპლინური სამაგისტრო პროგრამა არის პირველი და ერთადერთი კავკასიის რეგიონში. რესპონდენტების უმეტესობას რაღაც ეტაპზე უმუშავია აღნიშნულ პროგრამაზე ლექტორად. რესპონდენტების თქმით, პროგრამაზე მათი საქმიანობა დღემდე სრულიად მოხალისეობრივი და დაუფასებელია. ცხადია, კურსის შექმნა და ლექციებისთვის მომზადება საკმაოდ დიდ დროით რესურსს მოითხოვს. სწორედ ამიტომ, გენდერის მკვლევრების უმეტესობას აღნიშნული პასუხისმგებლობის აღება არ უღირს. პროგრამა გაუმართავია ადმინისტრაციული თვალსაზრისითაც, რაც ლექტორების

საქმიანობას კიდევ უფრო ართულებს. სირთულეს წარმოადგენს პოტენციურ სტუდენტებთან ხმის მიწვდენაც, რადგან, რესპონდენტების თქმით, პროგრამას გამარული ვებ გვერდიც კი არ აქვს. მიუხედავად ამისა, რესპონდენტები მუდმივად ცდილობენ გენდერის კვლევის პროგრამის შესახებ ცნობიერების ამაღლებას სტუდენტებს შორის. რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ დასაწყისში პროგრამა იყო ორენოვანი და შესაბამისად, უცხოელ სტუდენტებსაც შეეძლოთ სწავლა. დაფინანსების ამოწურვის შემდეგ, პროგრამა მხოლოდ ქართულენოვანი გახდა, რამაც მას გეოპოლიტიკური მნიშვნელობა დაუკარგა. ამ საკითხზე მსჯელობის დროს, ერთ-ერთმა რესპონდენტმა აღნიშნა:

> *ერთ-ერთი პირველი იყო არამხოლოდ კავკასიაში, არამედ მთელს შუა აზიაშიც ანუ - პოსტსაბჭოთა სივრცეში; სულ რამდენიმე გენდერის პროგრამაა და ერთ-ერთი პირველი იყო და შეეძლო სტუდენტების მოზიდვა როგორც კავკასიის სხვადასხვა რესპუბლიკებიდან, ისე შუა აზიის ქვეყნებიდან. ეს დიდი პოტენციალია რომლის გამოყენებაც შეიძლებოდა მაგრამ რომელიც არის გამოუყენებელი, ჩემი აზრით.*

მიუხედავად არსებული დაბრკოლებებისა, გენდერის კვლევის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულთა დიდი ნაწილი, დღესდღეობით, საკმაოდ საპასუხისმგებლო პოზიციებზეა დასაქმებული და ქალთა გაძლიერების კუთხით მნიშვნელოვან საქმეს ასრულებენ. ბევრი აქტივისტი, რომელიც დღეს გენდერის თემებზე საუბრობს, აღნიშნული პროგრამის კურსდამთავრებულები არიან, რაც მეტყველებს პროგრამის მნიშვნელოვან როლზე სოციალური ცვლილების თვალსაზრისით. აღსანიშნავია, ისიც რომ კურსდამთავრებულთა დიდი ნაწილი განვითარების სფეროშია დასაქმებული და მათგან მცირე ნაწილი მოღვაწეობს აკადემიაში.

საგულისხმოა ისიც, რომ, რესპონდენტების თქმით, ინვესტირება არცერთ დონეზე არ მომხდარა აკადემიური განვითარების მხრივ და ძირითადი რესურსი მიდის

განვითარების სფეროში არსებულ პროექტების ფარგლებში ჩატარებულ კვლევებში. აუცილებელია გენდერის კვლევის, როგორც აკადემიური დისციპლინის გაძლიერება და ფულადი რესურსების ამ მხრივ მიმართვა, რაც სხვადასხვა ჯგუფებში სფეროს მიმართ ინტერესს გააღვივებს. გენდერის კვლევის პროგრამის ბაზაზე, ძალიან ბევრი წარმატებული კურსდამთავრებულია და საკმაოდ დიდი ადამიანური რესურსი არსებობს, რომელსაც ხელშეწყობა და მხარდაჭერა ჭირდება.

> *თუ დაფინანსება არ არის ან აკადემიური პროგრამის ან კვლევითი ინიციატივების, ინერციით და მოხალისეობრივ-ფანატიკურ საწყისებზე ძალიან ბევრს ვერ გავაკეთებთ, ცხადია. სისტემური მიდგომა სჭირდება ამ ყველაფერს.*

აღსანიშნავია ისიც, რომ კვლევის მონაწილეთა დაკვირვებით, წარსულში სტუდენტები გენდერის კვლევის პროგრამიდან მიდიოდნენ აქტივიზმში, დღესდღეობით კი პირიქით ხდება და ხშირად აქტივიზმიდან მოდიან თეორიული ცოდნის მისაღებად. ბევრი სტუდენტის მიზანი არის არა კარიერის გაკეთება არასამთავრობო სექტორში, არამედ თეორიული ცოდნის აქტივიზმში გამოყენება, რაც დღევანდელ ფემინისტურ და ქვიარ მოძრაობებს დიდ უპირატესობას სძენს.

გენდერის კვლევის ზოგად განხილვასთან ერთად, მნიშვნელოვანია ფემინისტური კვლევის განხილვაც. თუ გენდერის კვლევა არის სამეცნიერო დისციპლინა საკუთარი ისტორიით და თეორიული ფოკუსებით, ფემინისტური კვლევა შესწავლის პროცესის ფემინისტური ლინზაა. ის არის ძალიან რთული მეთოდიკა - მკვლევარის მთავარი გამოწვევაა, რომ გაანალიზოს კრიტიკულად ის მჩაგვრელი თუ დისკრიმინაციული კონტექსტები, რომელშიც თავადაც გაიზარდა. ამიტომ, როცა ფემინისტურ კვლევაზეა საუბარი, ყოველთვის მნიშვნელოვანია არა რეფლექსია, როგორც ასეთი, არამედ თვითრეფლექსია, სადაც მკვლევარი საკუთარი ხედვებისა და პოზიციის შესახებ ღიად პოზიციონირებს.

ფემინისტური კვლევა სცილდება კვლევის იმ ტრადიციულ ფორმატს, რომლის მიხედვითაც რესპონდენტი ინფორმაციის პასიური გამცემი და მკვლევარი, კითხვის დამსმელის როლშია. ფემინისტური კვლევისთვის მნიშვნელოვანია მკვლევარსა და ინფორმანტს შორის თანამშრომლობა, რომელიც გულისხმოს დისკუსიას, ემპათიის გამოხატვის შესაძლებლობას. მკვლევარი ფემინისტური კვლევის დროს, ყველაზე მეტად უახლოვდება იმ გამოცდილებებსა და საჭიროებებს, რომელსაც მას ინფორმანტი უზიარებს; უფრო მეტიც, მკვლევარი არა მხოლოდ მსმენელის როლშია, არამედ ის ცდილობს ჩაერთოს რესპონდენტის მონათხრობში და წვლილი შეიტანოს რესპონდენტის გამოცდილებებისთვის რელევანტური სიტყვების დარქმევის პროცესში. ფემინისტური კვლევისთვის ვალიდურია ადამიანური გამოცდილებები და გრძნობები; კვლევის პოზიტივისტური მიდგომისგან განსხვავებით, ფემინისტური კვლევა ღიაა ინტერპრეტაციის ყველა იმ შესაძლო ვარიანტისთვის, რომელიც რესპონდენტის საჭიროებებსა თუ გამოცდილებებს ყველაზე უკეთ მოერგება. ფემინისტური კვლევა ცალკეული ადამიანის მოსაზრებას ანიჭებს იმის ლეგიტიმაციას, რომ დაუახლოვდეს აკადემიური ცნობიერება მის მიღმა ცხოვრებას და ყოფითმა საჭიროებებმა და გრძნობებმა შეაღწიონ აკადემიაშიც.

ფემინისტური კვლევა არ იქნება წარმატებული, მკვლევარის თვით-რეფლექსიის გარეშე. მკვლევარის თვით-რეფლექსია ნიშნავს იმას, რომ მას თავად უწევს საკუთარი თავის იმ სტრუქტურულ მოცემულობაში დანახვა, რომელსაც თავად იკვლევს და აკრიტიკებს. თვით-რეფლექსიის გარეშე მკვლევარი შეზღუდულია გაიგოს ის გამოცდილებები, რომელიც პერსონალურად რესპონდენტისაა; ამასთან ერთად, კვლევის პროცესი არის ერთგვარი ჰოლისტური მიდგომა იმისთვის, რომ უთანასწორობების დანახვა სტრუქტურული უთანასწორობების ჩარჩოში გახდეს შესაძლებელი. სწორედ ამიტომ არის ინტერსექციურობის საკითხი ფუნდამენტურად მნიშვნელოვანი ფემინისტური კვლევისთვის - ის იძლევა საშუალებას შეაფასო ის პოზიციები, რომლებიც სხვადასხვა მარგინალურ ჯგუფებს უკავიათ სტრუქტურულ უთანასწორობაში და ამასთანავე,

გაანალიზო ის ძალაუფლებრივი გარემოებები, რომელიც თავად მკვლევარს აქვს სხვადასხვა საკითხზე მუშაობის დროს. ამის გამო, ფემინისტური კვლევის ცოდნა და მისი გამოყენების უნარი მნიშვნელოვანია არამხოლოდ აკადემიური, არამედ გამოყენებითი კვლევების ჩატარების დროსაც; რადგან, თუ ვინმეს სურს შექმნას გენდერულად მგრძნობიარე პოლიტიკა, შეუძლებელია მას ეს გამოუვიდეს ფემინისტური კვლევის ძირითადი პრინციპების გათვალისწინების გარეშე.

ფემინისტური კვლევა მნიშვნელოვანია თავად სოციალურად მგრძნობიარე აქტივიზმისთვის. შეუძლებელია ცდილობდე აქტივისტურ დღის წესრიგში სხვადასხვა მარგინალიზებული ჯგუფების საჭიროებების გათვალისწინებას, და არ დაგჭირდეს კვლევაზე დაფუძნებული მტკიცებულებები იმისთვის, რომ რეალურად გაიაზრო მაგალითად, ქვიარების, ან ვთქვათ მარტოხელა დედების საჭიროებები. კვლევა ქმნის ერთგვარ ეთიკურ მიდგომასაც იმისთვის, რომ შექმნა ვალიდური აქტივიზმი, რომელიც საჭიროებებზე იქნება მორგებული და სტრუქტურული უთანასწორობების მხილების პროცესში გათვალისწინებული იქნება ეს ჯგუფთაშორისი საჭიროებები. მუშაობის ეს ტაქტიკა, ხელს უწყობს თავად იმასაც, რომ აქტივიზმმა მრავალი ადამიანის შემოკრება შეძლოს, თავად ადამიანებმა დაინახონ და აღმოაჩინონ თავი აქტივიზმში. ეს არის ერთგვარი უნარი, რომელსაც ფემინისტური კვლევა იძლევა - გახდე ნიუანსირიზებულად ფაქიზი სტრუქტურული უთანასწორობების გახილვადების პროცესში იმისთვის, რომ ამოიცნო რეალური საჭიროებები.

გენდერის კვლევა და ანტი-გენდერული დისკურსი/მოძრაობა

კვლევის მონაწილეების თქმით, გენდერის მკვლევრების საქმიანობასა და გენდერის კვლევის პროგრამის არსებობას საქართველოში დიდი ხილვადობა არ აქვს. სწორედ ამიტომ ულტრამემარჯვენე ძალების მხრიდან ამ დროისთვის ნაკლები წინააღმდეგობა

მოდის, თუმცა ხილვადობის გაზრდა დიდი ალბათობით საპასუხო რეაქციას გამოიწვევდა. რესპონდენტებმა, რომლებიც უნივერსიტეტებში ასწავლიან და სტუდენტებთან აქვთ შეხება, ახსენეს, რომ ულტრამემარჯვენე ძალების რიტორიკას ნაკლები გავლენა აქვს მათ სტუდენტებზე. რესპონდენტებს ისეთი შემთხვევებიც ახსოვთ, როდესაც ულტრამემარჯვენე ძალების მხარდამჭერი სტუდენტი დაცინვის ობიექტიც გამხდარა. რესპონდენტების დიდმა ნაწილმა აღნიშნა, რომ მათი დაკვირვებით საქართველოში არსებულ ულტრამემარჯვენე ჯგუფებს მკვეთრად განსაზღვრული და თანმიმდევრული ანტიგენდერული რიტორიკა არ აქვთ.

გენდერის მკვლევრების ნაწილს მიაჩნია, რომ საქართველოში ანტიგენდერული მოძრაობა საერთოდ არ არსებობს. მათი თქმით, საქართველოში არსებობს სოციალური ჯგუფები, რომლებიც არიან პოლიტიკურად ჰომოფობები, იმეორებენ ანტი-ლგბტ პროპაგანდას, არიან რადიკალურად მემარჯვენეები და ამავდროულად, გარკვეული სიხშირით უტევენ ფემინისტებსაც. მათი არგმუნტები ძალიან მსგავსი არის ანტიგენდერული ჯგუფების არგუმენტებისა, თუმცა მათ ანტიგენდერულ მოძრაობას მაინც ვერ დავარქმევთ. კვლევის ერთ-ერთი მონაწილის თქმით, აღნიშნული ჯგუფების რიტორიკა, რომელიც ძირითადად ჰომოფობიაზეა აგებული, უშუალოდ ფემინისტების აქტივობებს ნაკლებად ეხება. მიუხედავად ამისა, ამ მოძრაობებს მაინც აქვთ გარკვეული მდგრადობა და დღის წესრიგი, რის გარშემოც უკვე მრავალი წელია აწარმოებენ კამპანიებს. ამ ჯგუფების "მოძრაობად" მოხსენიება შესაძლოა იმ თვალსაზრისითაც იყოს პრობლემური, რომ ეს არ არის ქვემოდან წამოსული "გრასრუთ" მოძრაობა, არამედ იმართება ზემოდან, ძლიერი და გავლენიანი ძალების მიერ:

> *უნდა დავსვათ კითხვა, თუ კი ეს ზემოდან მხარდაჭერა გაქრება, გაქრება თუ არა ეს ანტიგენდერული სენტიმენტები ადგილობრივ დონეზე? რესურსები, ნამდვილად აქვთ, კამერა აქვთ, თავიანთი ტელევიზიები აქვთ. საკმაოდ დიდი ფულადი რესურსები იხარჯება. თუკი გამოვაცლით აი ამ ძალას, ალბათ დაგვრჩება უბრალოდ ისევე, როგორც გვყავს... ბევრი*

სხვადასხვა რასისტიც გვყავს, ფაშისტიც გვყავს, ალბათ, საზოგადოებაში, იქ იქნება სენტიმენტების დონეზე, არაორგანიზებული.

კვლევის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ ქალების მიერ მიღწეული პროგრესი მოცემულობად არასდროს უნდა მივიღოთ. აუცილებლად უნდა გვქონდეს ყურადღება მიმართული მსგავსი ჯგუფების საქმიანობისკენ, მიუხედავად იმისა, რომ მათი უმეტესობა დიდი ალბათობით ყოველთვის მარგინალურად დარჩება და მასიური ვერ გახდება. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ულტრამემარჯვენე მოძრაობების საქმიანობას და მათ რიტორიკას რესპონდენტების უმეტესობა ახლოს არ იცნობს. სწორედ ამიტომ, გვგონია, რომ მნიშვნელოვანია ამ საკითხის კვლევა და ულტრამემარჯვენე ჯგუფების საქმიანობის სპეციფიკის სიღრმისეული და განგრძობადი შესწავლა.

მსოფლიოს მასშტაბით ულტრამემარჯვენე ჯგუფების მიერ წარმოებული დისკურსი დიდ გავლენას ახდენს ფემინისტურ აქტივიზმზე. როგორც ერთ-ერთმა რესპონდენტმა ახსნა, ანტიგენდერული დისკურსის საპასუხოდ ფემინიზმიც განიცდის ცვლილებებს და ზოგიერთ შემთხვევაში გენდერის რედეფინიციაც კი ხდება.

ანტიგენდერული მოძრაობის ძალიან კონკრეტული დისკურსები ფემინიზმს უტევს თავის სუსტ ადგილებში და იმ მიზნით, რომ ამას გამკლავებოდა ფემინიზმი, მიიღო რაღაცნაირი ახალი ფორმა, რომელსაც მე ვეძახი ანტიგენდერულ ფემინიზმს.

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ მიუხედავად იმ დაბრკოლებებისა, რასაც არსებული კონსერვატული ჯგუფები ქმნიან გენდერის მკვლევრებისა და აქტივისტებისთვის, მათი საქმიანობა ცალსახად ანტიგენდერული არ არის. ტერმინი ანტიგენდერული დასავლური გამოცდილებიდან მოდის და მისი კლასიკური დეფინიცია

ქართულ კონტექსტს ბოლომდე არ ერგება. გასათვალისწინებელი და შესასწავლია ბევრი ნიუანსი, რაც ლოკალურ გამოცდილებას უნიკალურს ხდის.

გენდერის კვლევა და აქტივისტური პრაქტიკა

აღსანიშნავია, რომ ანტიგენდერული იდეოლოგია მხოლოდ ულტრამემარჯვენე ჯგუფებს არ აქვთ და რომ ზოგიერთ შემთხვევაში აქტორები, რომლებიც მემარცხენედ პოზიციონირებენ, რეალურად ანტიგენდერული იდეების გამავრცელებლები არიან. მსგავსი ჯგუფებისთვის თუ ინდივიდებისთვის, არაპრიორიტეტულია ისტორიულ პროცესებში ქალების როლის დანახვა. შეიძლება ითქვას, რომ ისინი ქალების ჩაგვრას ნაკლებად მნიშვნელოვნად თვლიან.

> *როდესაც ხდება საუბარი, პირობითად, მემარცხენე ჯგუფებისგან რაღაც თემაზე, სამწუხაროდ, საჯაროდ და ენობრივად არასდროს არ ჩანს გენდერული საკითხები და ეს ჩვენ ვიცით რატომაც ხდება; პირველ რიგში, იმიტომ რომ ისინი არ აღიარებენ, ხშირად არ აღიარებენ, გენდერულ ჩაგვრას და თუ აღიარებენ, როგორც წესი, მხოლოდ კლასობრივის ქვეშ არის ხოლმე დამალული ესეც.*

ხშირად მემარცხენე ჯგუფებს უჭირთ ჩაგვრის ინტერსექციურობის გააზრება და იმის აღიარება, რომ ადამიანთა დიდი ნაწილისთვის კლასობრივი ჩაგვრა გენდერის ნიშნით ჩაგვრასთან იკვეთება. ინტერსექციური მიდგომის გარეშე კი შეუძლებელია ქალების წინაშე არსებული გამოწვევების დანახვა და სწორი პოლიტიკის შემუშავება. ხშირ შემთხვევაში, ეს კრიტიკა ფემინისტ მკვლევრებსაც მიემართებათ, რომლებიც მხოლოდ

გენდერული პერსპექტივიდან ამოდიან და მათ სხვა ტიპის ჩაგვრების დანახვა უჭირთ. კვლევის ერთ-ერთი მონაწილის აზრით, ორივე პერსპექტივა რადიკალურია, ამიტომაც აუცილებელია აქტივისტურ ჯგუფებს შორის ღია დისკუსია:

> *ისეთ რაღაცაზე მუშაობენ, რაც აუცილებლად ეხება ყველას, ელიტის ჩათვლით, მაგრამ მინიმალურ ხელფასს შევხედოთ, ეს არ ეხება ელიტას. სწორედ, რომ არ მუშაობენ ისეთ პრაქტიკულ საკითხზე რაც აჩვენებს ინტერსექციურობას, იმას რომ მარტო გენდერით არ არის ქალების ჩაგრულობა განსაზღვრული, არამედ თანაკვეთაშია სხვა მათ კლასობრივ, სექსუალურ, ეთნიკურ კუთვნილებასთან.*

კვლევა და არასამთავრობო სექტორი

რესპონდენტების დაკვირვებით, დაახლოებით 2000-იანი წლებიდან კვლევითმა საქმიანობამ იმატა, რადგან დონორების ინტერესი იყო კვლევაზე დაფუძნებული პროექტების მხარდაჭერა. ბევრი არასამთავრობო ორგანიზაცია პოლიტიკის მკვლევარ ორგანიზაციად გადაიქცა. ქვეყანაში არსებულმა დემოკრატიულმა კოლაფსმა, კორუფციის მატებამ, მართლმსაჯულების პრობლემებმა გამოიწვია ის, რომ დონორების ინტერესი დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერება გახდა, რისი მთავარი განმახორციელებელიც არის არასამთავრობო სექტორი.

კვლევის მონაწილეთა თქმით, ხშირ შემთხვევაში ჩატარებული კვლევის ხარისხი არც ისე მაღალია, რადგან გამოცდილი მკვლევრის დაქირავება უფრო მაღალი თანხა ღირს. მიუხედავად ამისა, არასამთავრობო ორგანიზაციების დიდი ნაწილის საქმიანობა მიმართულია სწორედ კვლევისკენ. გარკვეულ შემთხვევებში თვითმიზანი ხდება

კვლევის განხორციელება და არა კვლევის შედეგებზე დაფუძნებელი ქმედება. გარდა ამისა, ზოგჯერ ერთსა და იმავე საკითხზე მრავალი კვლევა ტარდება, რაც არასამთავრობო ორგანიზაციების არაკოორდინირებულ მუშაობაზე და ერთმანეთის მიმართ ნდობის ნაკლებობაზე მიუთითებს:

> *შეთანხმებული მუშაობა არ არის იმიტომ რომ ერთი მხრივ ეს არის კონკურენციის საკითხი და ყველა თავისი კვლევის შედეგს ეყრდნობა და არ უნდა სხვისი კვლევის შედეგით იმუშაოს, რაც ასევე პრობლემაა და ეს წმინდად კონკურენციის საკითხია.*

ბუნებრივია, მსგავსი დამოკიდებულება ართულებს ადვოკატირებას. ხშირია ისეთი მიდგომაც, როდესაც ქვეყნის შიგნით მომუშავე მკვლევრები ერთმანეთის ნაშრომებს არ ენდობიან და ურჩევნიათ დასავლურ გამოცდილებებზე დაყრდნობა, რაც ხშირ შემთხვევაში კონექსტს აცდენილია.

> *ურჩევნიათ გადაჭედონ ტექსტი დასავლური გამოცდილებებით, დასავლელი ავტორებით და თითქოს ეს მატებს მათ კვლევას წონას და ის რომ ადგილობრივი მკვლევარები ამას დიდი ხანია იკვლევენ და შენ იმას არც კი ახსენებ…*

ამასთანავე, პრობლემურია ისიც, რომ ძალიან დაბალი ინტერესია რეგიონებში კვლევების ჩატარების მიმართ და ხშირად, საქართველოს მოსახლეობა ჰომოგენურად განიხილება, რაც არასწორ სურათს ქმნის. შინაარსობრივ პრობლემებთან ერთად კვლევების დიდი ნაწილი არ არის გამართული ენობრივად და სტრუქტურულად და აქვს დაბალი აკადემიური ხარისხი.

დასკვნა

წარმოდგენილ დოკუმენტში, გენდერის კვლევის აკადემიური და პოლიტიკური ღირებულებაა გაანალიზებული. გაანალიზების პროცესში კი, რესპონდენტებმა, მნიშვნელოვანი ყურადღება დაუთმეს ანტი-გენდერული და ანტი-ფემინისტური დისკურსის გააქტიურების საკითხს ადგილობრივ კონტექსტზე ფოკუსირებით. გენდერის კვლევასთან დაკავშირებით, შეიძლება ითქვას, რომ ეს სამეცნიერო დისციპლინა საქართველოში მარგინალიზებულია და მისი მნიშვნელოვნება გაანალიზებული არ არის საზოგადოებრივ და აკადემიურ დონეზე. დისციპლინას, მწირი ინსტიტუციური მხარდაჭერის პირობებში, არ აქვს საკმარისი საზოგადოებრივი ხილვადობა; ამასთან ერთად, თავად აკადემიაშია ერთგვარი თანხმიერება იმასთან დაკავშირებით, რომ გენდერის კვლევა სხვა სამეცნიერო დისციპლინებისგან განსხვავებით ნაკლებად ვალიდურია. ამიტომ, გენდერის კვლევაზე მსჯელობის დროს, მისი ინტერსექციურობის აღნიშვნა მნიშვნელოვანია, ვინაიდან, ეს სამეცნიერო დისციპლინა მრავალი მარგინალიზებული ჯგუფების საჭიროებების ჰოლისტური ხილვადობის ჩარჩოა. კვლევაზე დაფუძნებული მიდგომა, მნიშვნელოვანია აქტივიზმისთვის იმდენად, რამდენადაც განსხვავებულმა სოციალური ჯგუფის წარმომადგენლებმა, სტრუქტურული უთანასწორობების შიგნით საკუთარი, ჯგუფთაშორისი საჭიროებების ამოცნობა შეძლონ. ეს თავად აქტივისტურ ძალასაც მეტად გააფართოვებს, რადგან სამართლიანობის მიღწევის გზაზე, მეტი ადამიანის შემოკრება გახდება შესაძლებელი. გენდერის კვლევის ვიწრო დეფინიციით, ის შეიძლება მოაზრებულ იქნას, როგორც მნიშვნელოვანი ცოდნის ნაკრები, რომელიც აზროვნების ტრანსფორმაციას იწვევს. ეს ცოდნა წმინდად თეორიულთან ერთად, კვლევაზე დაფუძნებულიც არის. ამის გამო, გენდერის კვლევისთვის, როგორც სამეცნიერო დისციპლინისთვის, მნიშნელოვანია ფემინისტური კვლევა. ფემინისტური კვლევა, ინფორმანტთან ერთად, ცენტრში აყენებს მკვლევარსაც და მას თვით-რეფლექსიისკენ უბიძგებს. ამ მხრივ, ერთგვარი დათქმის გაკეთებაა შესაძლებელი - მკვლევარის თვით-რეფლექსურობა შესაძლებლობას აძლევს მას დაუახლოვდეს ინფორმანტის

საჭიროებებსა და გამოცდილებებს; ამოიცნოს მისი გრძნობები და ამ მხრივ, მეცნიერებაში შემოიტანოს ემოციური და ყოფითი განზომილებებიც. ფემინისტურად მგრძნობიარე თეორიული და კვლევითი მიდგომები მუშაობის მუდმივად განმავითარებელ ლინზას ქმნის. ეს იძლევა შესაძლებლობას, გადაფასებულ იქნას უკვე არსებული მიდგომები თუ მუშაობის პრაქტიკები აქტივიზმშიც. თავის მხრივ, პოლიტიკური ნების არ არსებობა, ართულების გენდერის მკვლევრების მუშაობას, პოლიტიკაში გენდერულად მგრძნობიარე გამოცდილებების შეტანაში. ამის ფონზე, მარგინალიზებულია თავად ფემინისტური კვლევაც, რომელიც მნიშვნელოვნად ბენეფიტური ინსტრუმენტი იქნებოდა სოციალური სამართლიანობის მიღწევის გზაზე.

გენდერის კვლევის ინტერსექციურობაზე მსჯელობის დროს, ხაზგასასმელია ანტიგენდერული მოძრაობისა თუ მოძრაობების საკითხი და, ამასთან ერთად, ანტიფემინისტური დისკურსი. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ ანტიფემინისტური დისკურსი, მეტად ზოგადია და ის სხვადასხვა მარგინალიზებული ჯგუფების გამოცდილებებსა თუ საჭიროებებს სამართლიანობის მიღწევის ველიდან აქრობს. ის მეტად ფართოა, მაშასადამე, შესაძლებელია მისი, როგორც ქოლგა ტერმინად მოიაზრება მოხდეს. აღნიშნულიდან გამომდინარეობს შემდეგი - ყველაფერი ის, რაც ანტიფემინისტურია, აუცილებლად ანტი-გენდერული მოძრაობის სახეს არ იღებს. ვინაიდან, მოძრაობას საკუთარი მყარი აჯენდა და მკვეთრად განსაზღვრულ დღის წესრიგთან ერთად, სამოქმედო ტაქტიკები უნდა ჰქონდეს. საქართველოში, ეს საკითხი დეტალურად შესწავლილი არ არის, რაც ამ საკითხის დღის წესრიგში დაყენებას აქტუალობას სძენს. საგულისხმოა ისიც, რომ, რესპონდენტების აზრით, ადგილობრივ დონეზე, ანტი-გენდერული თუ ანტი-ფემინისტური დისკურსი, თავს, ძირითადად ლგბტქი თემის წევრებს ესხმის. თავად ფემინისტად მონიშნულ აქტორებსა თუ ფემინისტურ მოძრაობებს მეტად იშვიათად და არასტაბილური დღის წესრიგით. რესპონდენტების თქმით, ეს შესაძლებელია განპირობებულია იმითაც, რომ თავად ფემინისტური აქტივიზმი არ არის საკმარისად ხილვადი. თუმცა, აღნიშნული საკითხების თანაკვეთაც, ასევე დამატებით, ნიუანსირებულ და თანმიმდევრულ კვლევებს საჭიროებს. საბოლოოდ, გენდერის კვლევასთან დაკავშირებით, შესაძლებელია

ითქვას, რომ ეს სამეცნიერო დისციპლინა საქართველოში მარგინალიზებულია. მისი პოლიტიკური ფუნქციები კი ბუნდოვანია, მათ შორის, აქტივისტური ჯგუფებისთვისაც. გენდერის კვლევასთან ერთად, ფემინისტური კვლევის ღირებულება მკაფიოდ არ არის გააზრებული მათ შორის ისეთი ჯგუფების მიერ, რომლებიც სამართლიანობის დამყარებისთვის იბრძვიან. აქ ერთგვარი ნაპრალი არსებობს - ხშირად ხდება ფემინისტური საკითხების დანახვა კლასობრივი ბრძოლის გარეშე და პირიქით, კლასობრივ უთანასწორობებზე ძირითადი აქცენტით, გამქრალია გენდერულად სენსიტიური მიდგომის შემოტანის საჭიროებები. რესპონდენტების თქმით, აღნიშნული ნაპრალის ამოვსებისთვის, მნიშნელოვანია დისკუსია იმ აქტორებსა თუ ჯგუფებს შორის, რომლებიც სამართლიანობისთვის იბრძვიან. ასევე, ფემინისტური კვლევის ინსტიტუციურად მარგინალიზებულ პოზიციაში ყოფნისგან დახსნისთვის, მნიშვნელოვანია ამ დარგის განვითარება და მხარდაჭერა, ვინაიდან აქტივიზმისთვის კვლევაზე დაფუძნებული ღირებულებების ჩამოყალიბება მას მეტად მდგრადს გახდის. საგულისხმოა ისიც, რომ ანტი-გენდერული დისკურსისა თუ ანტი-ფემინისტური ხედვების ღრმა და თანმიმდევრული შესწავლა მნიშნელოვანია ადგილობრივი კონტექსტისთვის, ვინაიდან ეს ხედვები სხვადასხვა შრეზე ძლიერდება და მასთან გამკლავება შეუძლებელია ფემინისტური კვლევისა და გენდერის კვლევებში დაგროვილი ცოდნის გააზრების გარეშე.

გამოყენებული ლიტერატურა

Ahmed, S. (2004). The Cultural Politics of Emotion.

Dahl, U. (2020). (Anti) Gender Studies and Populist movements in Europe. European Journal of Women's Studies.

Kuhar, R., & Paternotte, D. (2017). Anti-gender campaigns in Europe: Mobilizing against equality. *Rowman & Littlefield.*

McEwen, H. (2020). Un/knowing & un/doing sexuality & gender diversity: The global anti-gender movement against SOGIE rights and academic freedom. *Retrieved from https://saih.no/assets/docs/RAPPORT-2020-Web-final-version-Orban-fixed.pdf*

Wittenius, M. (2022, February 3). The transnational anti-gender movement in Europe*. Retrieved December 12, 2022, from Heinrich Böll Stiftung, Gunda Werner Institute - Feminism and Gender Democracy: https://www.gwi-boell.de/en/2022/02/03/the-transnational-anti-gender-movement-europe*